ნაზარეთის მიტროპოლიტი კირიაკი ხაიფაში რუსული სასულიერო მისიის მეტოქში საყდრის დღესასწაულს წარუძღვა

წმინდა ილია წინასწარმეტყველის ხსენების დღეს, 2021 წლის 2 აგვისტოს, ხაიფაში წინასწარმეტყველი ილიას მოღვაწეობის ადგილზე მდებარე რუსული სასულიერო მისიის მეტოქში საყდრის დღესასწაული აღნიშნეს. ტრადიციის თანახმად, წინა საღამოს ყოველწლიურად ათეულობით ადგილობრივი არაბი-ქრისტიანი მეტოქში მიდის, შლის კარვებს და მთელი ღამე რუსული ეკლესიის მთავარი დღესასწაულის მოლოდინში ატარებს.

წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის უნეტარესი პატრიარქის თეოფილე III-ს ლოცვა-კურთხევით, დღესასწაულს იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის ნაზარეთის მიტროპოლიტი კირიაკი წარუძღვა. მწყემსმთავარს თანამსახურებას უწევდნენ მეტოქის მეკლიტე დეკანოზი მიროსლავ ვიტივი, რუსული სასულიერო მისიის თანამშრომლები იღუმენი ნიკონი (გოლოვკო) და მღვდელმონაზონი ათანასე (ბუკინი), ყაზანის მიტროპოლიის მღვდელმონაზონი პავლე (კუზნეცოვი), ასევე იერუსალიმის საპატრიარქოს არაბი სამღვდელო დასი.

ლიტურგიაზე ლოცულობდნენ აინ-კერემის გორენის დედათა მონასტრის იღუმენია ეკატერინე

(ჩერნიშევა) და ხაიფის, ნაზარეთისა და ბეთლემის არაბულენოვანი მართლმადიდებელი სამრევლოების მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი.

ღვთისმსახურება სამ ენაზე ჩატარდა – საეკლესიო-სლავურ, ბერძნულ და არაბულ ენებზე, გალობდა გორენის მონასტრის დების გუნდი და ადგილობრივი არაბულენოვანი ქრისტიანი მგალობლები.

ლიტურგიის განტევების შემდეგ სამღვდელოებამ ტაძრის ირგვლივ ჯვრით მსვლელობა მოაწყო, რომელზეც წაკითხულ იქნა სახარების შესაბამისი მონაკვეთი და ლოცვა წმინდა ილია წინასწარმეტყველისადმი.

ილია წინასწარმეტყველის ხსენების სადღესასწაულო დღეები ხაიფაში რამდენიმე დღე გრძელდება: ამ დროის განმავლობაში ადგილობრივი არაბი-ქრისტიანები მოილოცავენ რუსულ ტაძარს, ლოცულობენ განდიდებულ ხატთან და აღმოსავლური ჩვეულების მიხედვით, კარვებთან მდიდრულ სუფრებს შლიან.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

რუსული სასულიერო მისიის პრეს-სამსახურის ინფორმაციის მიხედვით

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87843/